

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ს
ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1.	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
2.	სააღრიცხვო პოლიტიკა	6
3.	ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები	11
4.	კაპიტალი და რეზერვები	14

2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული

შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნა	2018 ლარი	2017 ლარი
ამონაგები		3603295	3518256
გაყიდული პროდუქციის (მომსახურების)	4		
ღირებულება	5	(9099787)	(8044180)
საერთო მოგება		(5496492)	(4525924)
სხვა შემოსავალი			
კომერციული დანახარჯები	6	(63348)	(13357)
ადმინისტრაციული დანახარჯები	7	(4758862)	(6910409)
საგადასახადო ხარჯი		(9584)	(7713)
სხვა ხარჯები		(2608944)	(1461897)
		(12937230)	(12919300)
არასაოპერაციო შემოსავალი		9568539	8656877
არასაოპერაციო ხარჯი	8	(62788)	(45204)
მოგება დაბეგვრამდე		(3431479)	(4307627)
მიმდინარე წლის მოგება		(3431479)	(4307627)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება— ზარალი		(7984226)	(4552747)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის

შენიშვნები	2018	2017	2016
ლარი			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	9 62633	181465	292580
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10 120069	155820	393451
გადახდილი ავანსები	891	281	281
წინასწარ გადახდილი ბიუჯეტის გადასახადი	338323	289838	330898
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	11 1483002	1216207	1059620
სულ მიმდინარე აქტივები	2004918	1843611	2076830
გრძელვადიანი აქტივები			
მიწა	12 665400	665400	535620
შენობა-ნაგებობები	13 2059138	1307032	1 325075
მანქანა დანადგარები	14 177027	80591	121320
ძირითადი საშუალებები	15 15196899	476262	4296001
არამატერიალური აქტივები	16 4701	5304	7308
სულ გრძელვადიანი აქტივები	18103165	2534589	6285324
ბალანსგარეშე აქტივი	4152	4152	4152
სულ აქტივები	20108083	4382352	8362154
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	17 214403	142130	1058
საგადასახადო ვალდებულება	18 10919	160565	143151
გადასახდელი ხელფასები	19 102863	108930	95595
სულ ვალდებულებები	328185	411625	239804
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	20 37293186	22442744	22245350
რეზერვები და დაფინანსება	4520748		
სარეზერვო კაპიტალი	130540	130540	171930
გადაფასების რეზერვი	4390208		
დაუფარავი ზარალი	(14049810)	(14049810)	(14049810)
საანგარიშო პერიოდის მოგება	21 (7984226)	(4552747)	(245120)
სულ საკუთარი კაპიტალი	(19779628)	(3970727)	(8122350)
ვალდებულებები და კაპიტალი	(20108083)	(4382352)	(8362154)

ბადრი ფარტენაძე
დირექტორი

ქეთევან გოგუაძე
ადმინისტრაციის უფროსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 6-17 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა განმარტებით შენიშვნებში



2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლისგან მიღებული ნაღდი ფული	5360360	4897862
სუფსიდია	7745998	6840000
სხვა შემოსავალი	1686	43271
საოპერაციო ფულადი სახსრების გადინება		
სასაქონლო მარაგების შეძენა	(6335411)	(533443)
თანამშრომელებზე გაცემული შრომის ანაზღაურება	(6981354)	(6284804)
სხვა ოპერაციებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(1493800)	(272176)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	(1702521)	(109290)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(1702521)	(109290)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(160222)	(80382)
მიღებული პროცენტები	17410	12720
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული ფულადი სახსრები	(142812)	(67622)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
კაპიტალის გაზრდა		
დამფუძნებლის შენატანით	1726500	65837
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	1726500	65837
წმინდა ფულადი სახსრები	(118833)	(111115)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისისათვის	181465	292580
ფულადი სახსრები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	62633	181465

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოში. საზოგადოების იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქალაქი ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის №13. შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ძირითად საქმიანობას შეადგენს ავტოტრანსპორტით მგზავრთა რეგულარული გადაყვანა ქალაქის სხვადასხვა მიმართულებით, პარკირების სერვისის ეფექტური სისტემის უზრუნველყოფა, საგზაო ღონისძიებების განხორციელება, შუქნიშნების მუშაობის კონტროლი, ექსპლუატაცია, მოვლა –პატრონობა. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში ერთიანი პოლიტიკის ფორმირებაში მონაწილეობის მიღება. პარკირების მონიტორინგი მუნიციპალიტეტის საზღვრების ფარგლებში, კანონით დადგენილი წესით დამრღვევებისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ოქმის გამოწერა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის საწარმოს ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს საწარმოს ოპერაციებისა და საწარმოს სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

3. ამონაგების აღიარება

შპს ამონაგებს აღიარებს ფასს 15-ის მოთხოვნის შესაბამისად. შპს ფინანსურ აღრიცხვას აწამოებს დარიცხვის მეთოდით. ამონაგები მომსახურეობიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები შემოსავლების რეალური ღირებულებით.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, რომელიც მოქმედია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისთვის.

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღისათვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2,6766 ლარს. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2. ძირითადი საშუალებები

მომსახურების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა, შენობები, მანქანა დანადგარები, ოფისის აღჭურვილობა, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა ძირითადი საშუალებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურებული ზარალის ღირებულებით. ახლად შეძენილი ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთით, ეს ღირებულება მოიცავს ძირითადი საშუალების თავდაპირველი შეძენის ან შექმნის დროს გაწეულ დანახარჯებს და შემდგომში ნაწილების შეცვლის ან მისი მომსახურებისთვის დამატებით გაწეულ დანახარჯებს. შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ბალანსზე არსებულ სხვადასხვა დასახელების ძირითად საშუალებების ექსპლუატაცია ხდება 15-50 წელი, შესაბამისად მათი საბალანსო ღირებულება 2018 წლის ბოლოს არ შეესაბამებოდა მის რეალურ ღირებულებას და შპს-მ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 16-ის შესაბამისად, აუდიტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ძირითადი საშუალებების მიმდინარე ღირებულების დასადგენად და ძირითადი საშუალების 16 სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად, გადაფასება მოხდა მთლიანად ჯგუფების, რომლებსაც მოცემული ძირითადი საშუალებები მიეკუთვნებოდა, რომელის აისახა გადაფასების რეზერვებში.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გადაცემიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე, ხოლო თუ სარემონტო სამუშაოები აღემატება ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულების 5% და შეესაბამება კაპიტალურ ხარჯებს და იზრდება აქტივების საბალანსო ღირებულება.

საწარმოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში .

(ცხრილი 1.)

მიწა 26781 კვ.მ.	665,400.00
შენობები	1236179
ნაგებობები	887006
მანქანა-დანადგარები	177028
ოფისის აღჭურვილობა	258519
კომპიუტერული ტექნიკა	310583
ავეჯი და სხვა ინვენტარი	749796
სატრანსპორტო საშუალებები	11425030
შუქნიშნები და საგზაო ნიშნები	2242709
სხვა ძირითადი საშუალებები	146248
ჯამი	18098464

3.3 ცვეთა დაირიცხა წრფივი მეთოდით:

შენობა– ნაგებობები	5 პროცენტი
მანქანა დანადგარები და მოწყობილობა	20 პროცენტი
სატრანსპორტო საშუალებები	20 პროცენტი
ოფისის აღჭურვილობა ,	
კომპიუტერული ტექნიკა	20 პროცენტი
ავეჯი და ინვენტარი	20 პროცენტი
არამატერიალური აქტივები	15 პროცენტი.

გრძელვადიან აქტივებს დაერიცხათ ცვეთა თანხობრივად:

ლარი

შენობა ნაგებობები	97680
მანქანა დანადგარები და მოწყობილობა	36137
სატრანსპორტო საშუალებები	1053993
ოფისის აღჭურვილობა	39282
კომპიუტერული ტექნიკა	64063
ავეჯი და ინვენტარი	184067
არამატერიალური აქტივები	2118

3.4. არამატერიალური აქტივები

საწარმოს მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებული ნაშთის მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, რომელიც შეადგენს 7 წელს. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

3.5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

საწარმოს ბალანსზე არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობები ძირითადად გათვალისწინებულია საწარმოო მოხმარებისათვის, ხოლო მეორადი მარაგები კი რეალიზაციისათვის.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებით. მათი ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და შეძენასთან დაკავშირებულ დანახარჯებთან. წელიწადში ერთხელ ხდება ინვენტარიზაციის ჩატარება და ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ფასეულობები საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმის შედეგად და შემოსავლების სამსახურის თანხმობის შემდეგ ჩამოიწერება და ნადგურდება. გახარჯული მარაგების თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება „საშუალო შეწონილი მეთოდით“.

3.6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე მოთხოვნები აღიარებულია რეალური ღირებულებით, უიმედო ვალები საანგარიშო წელს ჩამოიწერა უიმედო მოთხოვნების ხარჯებში. რომელის ასახულია მოგება – ზარალის ანგარიშზე.

3.7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

საწარმოს ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, ფულს საბანკო ანგარიშზე. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით. უცხოურ ვალუტაში ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცემელი კურსით.

3.8. ფინანსური აქტივები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით

ფინანსური აქტივები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, მოიცავს აქტივებს, რომელთაც თავდაპირველი აღიარებისას საწარმო აკლასიფიცირებს ამ კატეგორიაში.

3.9 ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწარმოს ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

3.10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მიმდინარე სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღიარებულია რეალური ღირებულებით. მოკლევადიანი ვალდებულებები ასახულია იმ თანხით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ბალანსის შედგენიდან 12 თვეში.

3.11. დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულებმა მოიპოვე საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, რეგულირდება, მათთან დადებული ხელშეკრულებებით, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი. (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშო პერიოდში საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოს არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოთაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

3.12. კაპიტალი

საწარმოს ქონებას წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით პარტნიორთა მიერ გადაცემული ქონება. საწარმოს ქონებას შეადგენს აგრეთვე საწარმოს ფუნქციონირების განმავლობაში მისი ფინანსური სახსრებით შეძენილი ან შექმნილი ქონება. საწარმოს პარტნიორი არის საზოგადოების საწესდებო კაპიტალში 100% –იანი წილის მესაკუთრე–ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი. წარმოდგენილი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სახით. საწესდებო კაპიტალის ოდენობა ცვლილებები საწესდებო კაპიტალში შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია საწარმოს კაპიტალში მისი დამფუძნებლის ფაქტობრივი შენატანის მიხედვით.

აკუმულირებული მოგება –ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება–ზარალს.

გადაფასების რეზერვი მოიცავს გრძელვადიანი აქტივების გადაფასებიდან მიღებულ მოგება–ზარალს.

3.13. მოგების გადასახადი

2017 წლიდან 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლიდან მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება საწარმოში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო თუ განაწილდება მოგება დაიბეგრება 15% –ით . საწარმო უსასყიდლო მომსახურებას ბეგრავს მოგების გადასახადით.

3.14 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და საწარმოს მიერ დაშვებული სხვა შეღავათები. შემოსავალი შემცირებულია შეუსრულებელი მომსახურების თანხის უკან დაბრუნებით.

3.13.1. შემოსავალი მომსახურობიდან

შემოსავალი მომსახურობიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

საწარმომ გადასცა მყიდველს მომსახურობა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა სარგებელი.

საწარმომ გადასცა მყიდველს საქონელი და მის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა სარგებელი.

შემოსავალი შეიძლება საიმედო შეფასდეს.

ოპერაციებთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

3.14. ნაღდი ფული და მათი ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, ისინი გამიზნულია მოკლევადიანი ვალდებულებების შესასრულებლად.

4. ბალანსის დანართები

13.ძირითადი საშუალებები

	შენობა - ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	მიწა	სულ
ღირებულება 2017 წლის 1 იანვარი	1325075	121320	1129217	3166785	535620	6278016
შემოსვლა	29897	37400	6654		129780	203731
გასვლა			1078	3544		4622
2017 წლის 31 დეკემბერი	1354972	158720	1134793	3163241	665400	
დაგროვილი ცვეთა და 2017 წლის 1	111987	78129	799953	2957771		3947840

იანვარი						
2017 წლის 31 დეკემბერი	1242986	80591	334840	205470	665400	2529286
2018 წლის ცვეთა	97680	36175	640219	1053992		1828029
2018 წელი აფასება	825331	59516	774335	2690677		4349859
შემოსვლა	152549	79121	3240189	9593901		13087034
2018 ჩამოწერა		6026	1323	11025		18374
2018 წლის 31 დეკემბერი	2123185	177027	3707821	11425030	665400	18098464

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს ძირითადი საშუალებები, გამოყენებულია საწარმოს საქმიანობისათვის. ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი ფულადი სახსრების ოდენობა. პირვანდელ ღირებულებაში მონაწილეობს ქვემოთ ყველა ჩამოთვლილი ელემენტი:

ა) ნასყიდობის ფასი, სავაჭრო ფასდათმობების, შესწიდვის დაუბრუნებადი გადასახადის და შეღავათების გარეშე;

ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანამდე.

16. არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამული უზრუნველყოფები	სულ
თვითღირებულება		
2017 წლის იანვარი	7307	7307
შემოსვლა	—	—
2017 წლის 31 დეკემბერი	7307	7307
2017 წლის ცვეთა	2005	2005
2017 წლის 31 დეკემბერი		
საბალანსო ღირებულება	5302	5302
2018 წლის ცვეთა	2720	2720
შემოსვლა	2119	2119
2018 წლის საბალანსო		
ღირებულება	4701	4701

არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივების ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

მიმდინარე აქტივები

11. სასაქონლო –მატერიალური ფასეულობები

მარაგი შედგება შემდეგი ძირითადი ჯგუფებისაგან:

დასახელება(ლარი)	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სათადარიგო ნაწილები	1407975	1066163
საქონელი	750	
საწვავი	57495	138497
დაუმთავრებელი წარმოება		997
სხვა მარაგები	16782	10549
სასაქონლო- მატერიალური ფასეულობა სულ	1483002	1216207

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

დებიტორულ დავალიანებებს გააჩნიათ შემდეგი სტრუქტურა:

დასახელება	2018 ლარი	2017 ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	120069	155820
წინასწარ გადახდილი ბიუჯეტის გადასახადი	338323	289838
წინასწარ გადახდილი თანხები	891	281

მათი შემოსავალი აღიარებული იყო დარიცხვის მეთოდით.

სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი არის მოკლევადიანი მოთხოვნები და მიჩნეულია დაახლოებით გონივრულ რეალურ ღირებულებად.

9. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშები

საწარმოს ფულადი სახსრები განთავსებულია საქართველოს ბანკებში ეროვნული და უცხოური ვალუტის სახით. მათი სტრუქტურა შემდეგია:

ლარი	2018 წელი	2017 წელი
საბანკო ანგარიშები	60326	171084
ნაღდი ფული საღაროში	2307	10381
	62633	181465

20. კაპიტალი და რეზერვები

2017 წელს საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 22442744 ლარს, 2018 წელს საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 37293186 ლარს, რომელიც განისაზღვრა როგორც თანხობრივად – 1722907 ლარით, ასევე გადმოცემული საქონლით –13154058 ლარით.

16. ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან

	2018 წელი	2017 წელი
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	214403	142130
	214403	142130

ვალდებულებები არის მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები, რომელსაც საწარმო გადაიხდის მოკლევადიან პერიოდში.

17. საგადასახადო ვალდებულება

	2018 წელი	2017 წელი
საგადასახადო ვალდებულებები	10919	160565
	10919	160565

საგადასახადო ვალდებულებები შედგება საშემოსავლო გადასახადისაგან, რომელსაც საწარმო გადაიხდის მოკლევადიან პერიოდში .

18. გადასახდელი ხელფასები

	2018 წელი	2017 წელი
გადასახდელი ხელფასები	102863	108930
	102863	108930

გადასახდელი ხელფასები არის ვალდებულება , რომელსაც საწარმო გადაიხდის მოკლევადიან პერიოდში .

4. შემოსავალი

4.1. ამონაგები

ამონაგები შედგება მგზავრთა გადაყვანიდან მიღებული შემოსავლის, პარკირებიდან მიღებული შემოსავლის და სხვა საოპერაციო შემოსავლისაგან.

4.2. არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო შემოსავალი შედგება, სუფსიდისაგან, ჯარიმებისაგან, რეკლამისგან და სხვა არასაოპერაციო შემოსავლისგან

დასახელება	2018 წელი	2017 წელი
საოპერაციო შემოსავალი	3602973	3518256
არასაოპერაციო შემოსავალი	9568861	8656877
	13171834	12175133

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ლარი	2018 წელი	2017 წელი
მარაგები	4956161	4111902
ხელფასი	4143625	3873667
	9099786	7985569

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს მონაცემებს მომსახურების პირდაპირ დანახარჯებზე: მძღოლების ხელფასი და სათადარიგო ნაწილების ხარჯები.

6. კომერციული დანახარჯები

ლარი	2018 წელი	2017 წელი
რეალიზაცია საქონლის ჩამოწერა კომერციულ დანახარჯებზე	63348	13357
	63348	13357

კომერციული დანახარჯები მოიცავს სამგზავრო ბილეთების, ველობარათების და მეორადი საქონლის გასვლას .

7. ადმინისტრაციის ხარჯები

დასახელება(ლარი)	2018 წელი	2017 წელი
თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება	2834395	2910421
კომუნალური ხარჯები	93718	50144
ცვეთა და ამორტიზაცია	1830749	3949844
	4758862	6910409

8. არასაოპერაციო ხარჯები

ლარი	2018 წელი	2017 წელი
ძირითადი საშუალების ჩამოწერა და ჩამოფასება	53474	4622
მასალების ჩამოწერა	1704	30455
მატერიალური დახმარება		2894
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯები	7610	7233
	62788	45204